ხობის მოამბე

№8 (7111) 10 აგვისტო
შაბათი, 2019 წელი.
ფასი 0,70 ლარი.

ხობის მუნიციპალიტეტის ბეჭდვითი ორგანო

„თვითმმართველობის უმაღლესი ფასეულობა ადამიანის ყოველდღიურობის სიმყარეშია. სადაც უნდა ვიყოთ, იქ ყველანაირ პირობებს... ყოველი სახელმწიფო, რომელიც ფესვად ცოდავთ თუ მიწისად ვაკეთებთ, ნაფენი-ნაფენად ანის ვაყალიბებთ, რომ მოვდეს ვა ანგრევენ ხალხი ადგილი იყოს."

აგვისტოს ომიდან 11 წელი გავიდა...

ხობის მუნიციპალიტეტში, აგვისტოს ომის დროს დაღუპული 9 ხობელი გმირის ხსოვნას პატივი მიაგეს.

ხობის მუნიციპალიტეტის მერმა გოჩა ქაჯაიამ, საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავამ, ადგილობრივი თვითმმართველობისა და საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთად ყვავილებით შეამკეს აგვისტოს ომის დროს დაღუპულთა მემორიალი.

სამშობლოს ერთიანობას –გოგა ბერაიას, მიხეილ იოსავას, ლევან ჭოჭუას, დათა ხურცილავას, გოგა ჭითანავას, ზვიად დათუაშვილის, ლევან ტურავას, გოგიტა ქარჩავას და რამაზ კიტიას სიცოცხლე შეეწირა.

ხობის წმინდა სამების სახელობის ეკლესიაში, მღვდელმა კირიონ დარასელიამ საქართველოს ერთიანობისთვის დაღუპულთათვის პანაშვიდი გადაიხადა.

მემორიალთან, რუსული აგრესიის ამსახველი ფოტონამუშევრების გამოფენა და გოგა ჭითანავას ხსოვნისადმი მიძღვნილი წიგნის–„სამშობლო, როგორც უფალი...“ პრეზენტაცია გაიმართა. წიგნის ავტორი, ჟურნალისტი მზეკო ჟვანიაა, ხოლო გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ირაკლი შონიას ნამუშევრები.

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2018 წლის ანგარიში

>>>>>>>>>>>>>>>>>> 2-3

12 აგვისტო დიდი სახალხო-საეკლესიო დღესასწაული

ძველი ხიბულის საჯარო სკოლას ზვიად გამსახურდიას სახელი მიენიჭა



საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 25 ივლისის N154/ნ ბრძანებით სსიპ ძველი ხიბულის საჯარო სკოლას საქართველოს ეროვნული გმირის, საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას სახელი მიენიჭა.

ვულოცავთ

ნუგზარ წურწუმიას ჯიდევ ერთი დამაჯერებელი გამარჯვება



ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა შორის პოლონეთის საერთაშორისო ტურნირი 55 კგ. წონით კატეგორიაში ხობელ ნუგზარ წურწუმიას გამარჯვებით დასრულდა.

ხობელმა ფალავანმა ფინალურ შეხვედრაში რუსეთის წარმომადგენელი ელჩინ იბრაგიმოვი 8:0 დაამარცხა და ოქროს მედალს დაეუფლა.

ფინალში გასვლამდე ნუგზარ წურწუმიამ ნახევარფინალში თურქი მეტოქე სერდარ ჩანკაია 10:0 დაამარცხა და დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა.

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

30 ივლისს, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში გაიმართა საკრებულოს მორიგი სხდომა, რომელსაც უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა.

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოსა და მერიის ხელმძღვანელი პირები.

სხდომაზე განხილულ იქნა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები: დადგენილების პროექტები: „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზოგიერთ დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ და „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და ხობის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის ¹ 4დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“, რომლის თანახმადაც ხობის მუნიციპალიტეტის მერიაში იწყება რეორგანიზაცია, კერძოდ: სტრუქტურული, თანამდებობრივი და ფუნქციური ცვლილება დაიგეგმა მერიის 4 სამსახურში, რომელთაგან 3 სამსახურში განსახორციელებელი ცვლილება იწვევს მერიის და მერიის შესაბამისი სამსახურის დებულებებსა და მერიის საშტატო ნუსხაში ცვლილებას.

საკრებულოს სხდომაზე დამაკმაყოფილებლად შეფასდა ხობის მუნიციპალიტეტის 2019 წლის იანვარ - ივნისის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.

სხდომაზე ასევე მოსმენილ და შეფასებულ იქნა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ანგარიში, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2018 წლის განმავლობაში გაწეული საქმიანობის შესახებ, სადაც საკრებულოს თავმჯდომარემ დეტალურად ისაუბრა ყველა იმ პროექტებზე, რაც გასულ წელს წარმატებით განხორციელდა ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან.

საკრებულოს მიერ საკრებულოს 2018 წელს გაწეული საქმიანობა შეფასდა დადებითად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2018 წლის ანგარიში

მოგესალმებით ქალბატონებო და ბატონებო, პატივცემულო საკრებულოს წევრებო, მივესალმები დამსწრე საზოგადოებას.

წარმოგიდგენთ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ.

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო თავის უფლებამოსილებას ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციის, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ევროპული ქარტიის, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 18 დეკემბრის[1] ₮დადგენილებისა და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად.

2017 წლის მეოთხე მოწვევის საკრებულოს უფლებამოსილება ცნობილიქნა 2017 წლის 20 ნოემბერს.

საკრებულო შედგება საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ შესაბამისად პირადაპირი, საყოველთაო, თანასწორი და ფარული კენჭისყრის შედეგად არჩეული 37 წევრისგან, საკრებულოში არჩეული საკრებულოს წევრების შემადგენლობა მრავალპარტიულია. 15 წევრი არჩეულია პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე, მათ შორის 9 მანდატი მიიღო „ქართული ოცნება - დემოკრატიულმა საქართველომ“, 3 მანდატი - „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“, 2 – „ევროპულმა საქართველომ“ და 1 მანდატი - „შალვა ნათელაშვილი - საქართველოს ლეიბორისტულმა პარტიამ”.

საკრებულოს 22 წევრი აირჩა - მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე, მათ შორის: „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოდან“ – 20 წევრი, „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი”- 1 წევრი და – „შენების მოძრაობა“ – 1 წევრი.

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 18 პოლიტიკური თანამდებობის პირია: საკრებულოს თავმჯდომარის, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის, 5 მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარის, 6 ფრაქციის თავმჯდომარისა და მათი მოადგილეების შემადგენლობით.

საკრებულოს ბიურო შედგება 12 წევრისგან: საკრებულოს თავმჯდომარე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, საკრებულოს კომისიებისა და ფრაქციების თავმჯდომარეები.

პოლიტიკური წარმომადგენლობის შესაბამისად, მეოთხე მოწვევის საკრებულოში ჩამოყალიბდა 5 ფრაქცია - „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“; „ქართული ოცნება - კონსერვატორები“; „ქართული ოცნება - მრეწველები“; „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და „სამართლიანობისათვის“.

უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად საკრებულოს ფრაქციების განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებებისა, რეგისტრირებულ ფრაქციათა უმეტესობა საკრებულოს ორგანოებთან კონსტრუქციულად მუშაობს, ისინი აქტიურად არიან ჩართული, როგორც საკრებულოს, ასევე საკრებულოს კომისიების მუშაობაში. რაც შეეხება ოპოზიციურ ფრაქციებს, ჩვენ მივესალმებით ჯანსაღ ოპოზიციას, რომელიც დაგვეხმარება ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღების საქმეში.

საკრებულოში, ფუნქციონირებს 5 კომისია: საპროცედურო საკითხთა კომისია, იურიდიულ საკითხთა კომისია, საფინანსო-საბიუჯეტო კომისია, განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისია და ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისია. კომისიების სამუშაო გეგმები მტკიცდება წლის დასაწყისში, რომლის თანახმადაც მათი მხრიდან ხორციელდება საკრებულოზე განსახილველი საკითხების მომზადება, მერიის მიერ წარმოდგენილ საკითხებზე კომისიის დასკვნების მომზადება, მერიის სამსახურებისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების ანგარიშების მოსმენა გაწეული მუშაობის შესახებ.

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა საკრებულოს ბიუროს 18 სხდომა, საკრებულოს

18 სხდომა, მათ შორის - 12 მორიგი და 6 რიგგარეშე სხდომა. საკრებულოს მიერ მიღებულ იქნა 93 გადაწყვეტილება, მათ შორის: 44 დადგენილება და 49 განკარგულება.

საკრებულოს თავმჯდომარის მიერ გამოცემულ იქნა 122 ბრძანება, მათ შორის: 94 პირადი შემადგენლობის შესახებ და 22 საერთო-ორგანიზაციულ საკითხებზე.

საკრებულოს მხრიდან განსაკუთრებით დიდი ყურადღება ექცევა ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტის ფორმირებას, განხილვასა და ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობაზე კონტროლს. 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტი მიღებამდე განსახილველად გამოქვეყნდა, როგორც ადგილობრივ პრესაში, ასევე საკრებულოს ოფიციალურ ვებგვერდზე. პროექტი განხილულ იქნა მოსახლეობასთანაც, რის შემდეგაც საკრებულოს მხრიდან განხილულ და მხარდაჭერილ იქნა 2018 წლის მუნიციპალიტეტის მთავარი საფინანსო დოკუმენტი ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტი, რომლის საფუძველზეც საშემოსავლო ნაწილი განისაზღვრა - 8346,9 ათასი ლარით, ხოლო საგასავლო ნაწილი 8346,9 ათასი ლარის ოდენობით. 2018 წლის განმავლობაში განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა საშემოსავლო ნაწილში 13701,0 ათასი ლარი, ხოლო საგასავლო ნაწილში 16019,4 ათასი ლარი. შემოსულობებიდან 6937,4 ათასი ლარი სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი გრანტებია ინფრასტრუქტურის განვითარებისა და დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად.

საკრებულოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, 2018 წელს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაფინანსდა 5 მილიონი ლარის ღირებულების 9 პროექტი, კერძოდ:

1. ქ. ხობში ქუჩების კეთილმოწყობა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება - 320,00 ათასი ლარი;

2. პირველი მაისის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ საკვიკვინიოში გზის რეაბილიტაცია (ცემენტბეტონის საფარის მოწყობა) - 1308,0 ათასი ლარი;

3. თორსა-დღვაბის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ დღვაბაში გზის რეაბილიტაცია (ცემენტბეტონის საფარის მოწყობა) - 1369,9 ათასი ლარი;

4. გურიფულის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ პირველ გურიფულში სასაფლაომდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია - 160,0 ათასი ლარი;

5. საგვიჩიოს ადმინისტრაციულ ერთეულში გზის რეაბილიტაცია (ცემენტბეტონის საფარის დაგება) - 586,6 ათასი ლარი;

6. პატარა ფოთის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლის ქუჩების კეთილმოწყობა (ცემენტბეტონი) - 301,7 ათასი ლარი;

7. შუა ხორგის, ქარიატისა და ყულევის ადმინისტრაციულ ერთეულებში წყალსადენი ქსელის მოწყობის სამუშაოები - 302.0 ათასი ლარი;

8. ქ. ხობში ცენტრალური პარკისა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა - 500,0 ათასი ლარი;

9. ქვემო ქვალონის ადმინისტრაციულ ერთეულში გზის რეაბილიტაცია - 198,6 ათასი ლარი.

„ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2018 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ და „ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის 2018 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის N82 და N83 განკარგულებების თანახმად, მუნიციპალიტეტში ერთიანი სოციალური და ჯანდაცვის მუნიციპალური პროგრამა 2018 წელს 482140 ლარით განისაზღვრა, აქედან სოციალური პაკეტი - 445900 ლარით, ხოლო ჯანდაცვის მუნიციპალური პაკეტი - 36240 ლარით. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, სოციალური პაკეტი გაიზარდა 65000 ლარით და საანგარიშო პერიოდისთვის 510900 ლარი შეადგინა.

განსხვავებული შინაარსის, მოსამზადებლად განსაკუთრებული მუშაობისა და შრომატევადობის, მარეგულირებელი ნორმების, წესებისა და პროცედურების განსაზღვრის მხრივ, საკრებულოს 2018 წელს მიღებული ნორმატიული აქტებიდან შეიძლება გამოიყოს შემდეგი დადგენილებები:

ა) ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ;

ბ) ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების აუქციონის ელექტრონული/საჯარო) ფორმით პრივატიზებისას (პირობით/უპირობოდ) ბიჯის სიდიდის, აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის, სარგებლობის/მართვის უფლებით გადაცემისას ელექტრონულ აუქციონში (პირობებით/უპირობოდ) გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის, ნასყიდობის ხელშეკრულების, იჯარის ხელშეკრულების, საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის, საჯარო აუქციონში მონაწილის განცხადების, რეგისტრაციის ჟურნალის, ბილეთის ფორმების დამტკიცებისა და ბილეთის ფასის განსაზღვრის შესახებ;

გ) ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ;

დ) საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების წესისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ;

ე) ხობის მუნიციპალიტეტის მერთან არსებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ;

ვ) ხობის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ.

საკრებულოს განკარგულებებიდან შეიძლება გამოიყოს:

ა) ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ;

ბ) ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ;

გ) მუნიციპალიტეტის ხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ცენტრალური სტადიონისათვის გიორგი (გოგი) მამფორიას სახელის მინიჭების თაობაზე;

დ) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დაფუძნებაზე ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ (რომლის საფუძველზეც დაფუძნდა შპს „ხობის მუნიციპალიტეტის წყალმომარაგება“);

ე) მუნიციპალიტეტში უმწეოთა სასადილოს ბენეფიციართა შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ;

ვ) ხობის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2018–2019 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ;

ზ) აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობისა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტების კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „სამეგრელო-ზემო სვანეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია“ ერთობლივად დაფუძნების თაობაზე გადაწყვეტილების მიზანშეწონილობაზე ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

საკრებულოს კომისიებისა და საკრებულოს მიერ მოსმენილ და შეფასებულიქნა, როგორც მერიის სამსახურების, ასევე მერიის მიერ გაწეული მუშაობის ანგარიშები, პერიოდულად განიხილებოდა ინფორმაციები ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის თაობაზე.

საკრებულოს სხდომები საჯაროა. ყოველი სხდომის დანიშვნისას საკრებულოს აპარატის მიერ კეთდება შესაბამისი განცხადება სხდომის ჩატარების თარიღისა და დროის შესახებ. სხდომებს, გარდა მოწვეული პირებისა, ხშირად ესწრებიან საზოგადოებისა და მასმედიის წარმომადგენლები. სხდომების შესახებ ინფორმაციები ქვეყნდება საკრებულოს ოფიციალურ ვებგვერდზე, საკრებულოს ოფიციალურ სოციალურ გვერდზე და ადგილობრივ პრესაში.

საჯაროობის პრინციპიდან გამომდინარე საკრებულოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია დაინტერესებულ პირთათვის. ყველა ნორმატიული აქტი მიღებიდან მეორე დღეს გამოსაქვეყნებლად იგზავნება საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში და ასევე ქვეყნდება ადგილობრივ პრესაში, ხოლო საკრებულოს ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებულია 2006 წლიდან დღემდე მიღებული, როგორც ნორმატიული, ასევე ინდივიდუალური აქტები.

საკრებულოს კომისიებს, ფრაქციებს და მთლიანად საკრებულოს, უფლებამოსილების სრულყოფილად წარმართვისა და მათი საქმიანობის ორგანიზაციული უზრუნველყოფის მიზნით ემსახურება საკრებულოს აპარატი, რომელსაც ხელმძღვანელობს საკრებულოს აპარატის უფროსი. აპარატის მოხელეები აქტიურად არიან ჩართულნი საკრებულოს მუშაობაში.

საკრებულოს რეგლამენტში და საკრებულოს აპარატის დებულებაში ვრცლად არის გაწერილი საკრებულოს აპარატის ფუნქციები და უფლებამოსილებები. საკრებულოს აპარატის მიერ განხორციელებული საქმიანობა წარმოაჩენს მთლიანად საკრებულოს მუშაობას. აპარატში შექმნილია 2 განყოფილება - იურიდიულ საკითხთა და საქმისწარმოების განყოფილება და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილება, რომელთა მეშვეობით აპარატში დიფერენცირებულად ხორციელდება ყველა სახის სამუშაო.

2015 წლის 5 ნოემბრიდან საკრებულო გადასულია დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაზე, პროექტი განხორციელდა სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს პროექტის „ელექტრონული მმართველობის დანერგვა ადგილობრივ თვითმმართველობებში“ ფარგლებში. აღსანიშნავია, რომ საკრებულოში 2018 წელს აღრიცხულია საკრებულოს თანამდებობის პირების სახელზე შემოსული - 1313 კორესპონდენცია, გაგზავნილი - 349 კორესპონდეცია, აქედან: უმაღლესი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგა-

3

ნოებიდან შემოსული - 18, გაგზავნილი - 15; სამინისტროდან და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებიდან შემოსული - 42 და გაგზავნილი - 25; ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებიდან, მუნიციპალიტეტის იურიდიულ პირებიდან და სხვადასხვა ორგანიზაციებიდან შემოსული - 62 და გაგზავნილი - 56; შიდა კორესპონდენცია - 30; სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაციიდან შემოსული - 21 და გაგზავნილი - 6; მერიიდან შემოსული - 568 და გაგზავნილი - 247; მოქალაქეთა ადმინისტრაციული საჩივრის განცხადებიდან შემოსული - 555.

ასევე ხშირია მომართვები საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის, დოკუმენტთა ასლების და ამონაწერების გაცემის შესახებ. ნებისმიერი მოთხოვნილი ინფორმაცია და დოკუმენტის ასლი გაიცემა დაუყოვნებლივ. ხოლო საკითხები, რომელიც საკრებულოს კომპეტენციას არ მიეკუთვნება - იგზავნება შესაბამის ორგანოებში რეაგირებისთვის. 2018 წელს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე შემოვიდა 17 კორესპონდენცია, პასუხი კანონით გათვალისწინებულ ვადებში გაეცა 17-ვე მოთხოვნას. 2019 წელს ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მიერ წარდგენილ იქნა საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის 2018 წლის ანგარიში და შესწავლილი 259 საჯარო დაწესებულებიდან 43 ყველაზე ღია საჯარო დაწესებულება დასახელდა. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო სამ შეფასებით კრიტერიუმში მიღებული უმაღლესი ქულებითა და საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის 100%-იანი მაჩვენებლით სიგელით დაჯილდოვდა.

საკრებულოს აპარატის მიერ 2018 წელს დამუშავდა და საუწყებო არქივისთვის მომზადდა 2014-2015 წლების კორესპონდენცია და საკრებულოს და საკრებულოს ბიუროს სხდომის მასალები.

საკრებულოს თანამდებობის პირთა და მოსამსახურეთა სამუშაო დროის დიდი ნაწილი ეთმობა საზოგადოების წარმომადგენელთა მიღებას, მათი პრობლემების შესწავლას და კომპეტენციის ფარგლებში სათანადო კონსულტაციების გაწევას. მსგავს საკითხებზე შეზღუდვები არ არის დაწესებული და ფაქტობრივად, ყოველდღიურ ხასიათს ატარებს. მხოლოდ საკრებულოს თავმჯდომარესთან აღრიცხული მოქალაქეთა ვიზიტების რაოდენობა 512 შეადგენს. მოსახლეობის მხრიდან დასმული საკითხებიდან ყველაზე პრობლემატურია სამუშაო ადგილებით უზრუნველყოფის შესახებ მოთხოვნა, თუმცა ადგილობრივი ხელისუფლება შესაძლებლობის ფარგლებში, მაქსიმალურად ცდილობს ამ საკითხის მოგვარებაში დახმარება გაუწიოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობას.

აღსანიშნავია, რომ საკრებულოს მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება ექცევა დასაქმებულთა შორის გენდერულ ბალანსს. საკრებულოს 37 წევრიდან 4 ქალია, აქედან 2 საკრებულოს კომისიის თავმჯდომარეა, ხოლო საკრებულოს აპარატში დასაქმებულია 7 ქალი და 6 მამაკაცი.

ჩვენთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს მუშაობა გენდერული თანასწორობის მიმართულებით.

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით შეიქმნა ხობის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო, რომელიც დაკომპლექტებულია, როგორც სახელისუფლებო, ასევე ოპოზიციური პარტიისა და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებისგან.

შექმნილი გენდერული თანასწორობის საბჭო მიზნად ისახავს საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას ადგილობრივ დონეზე, ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის ხელშეწყობას. საბჭოს მიერ მომზადდა და 2018 წლის 31 ივლისს საკრებულოს მიერ მიღებულ იქნა განკარგულება „ხობის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2018–2019 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“.

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, რეგიონში ერთ-ერთმა პირველმა, დანერგა პეტიციის ელექტრონული სახით წარდგენის წესი. საკრებულოში ელექტრონული პეტიციების ამოქმედების თაობაზე პეტიცია „დემოკრატიის ინსტიტუტის“ პროექტის ფარგლებში შემოვიდა, რომლის განხილვის და გადაწყვეტილების მიღების შემდგომ მუნიციპალიტეტის საკრებულომ, სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრის დახმარებით, საკუთარ ვებგვერდზე განათავსა შესაბამისი აპლიკაცია. აღნიშნული აპლიკაციის მეშვეობით ხობის მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებს უკვე შესაძლებლობა აქვთ სახლიდან გაუსვლელად დაარეგისტრირონ ელექტრონული პეტიცია საკრებულოში და გააკეთონ მასზე ხელმოწერა.

საორგანიზაციო და სამართლებრივი კონსულტაციების მიღების მიზნით საკრებულოს მჭიდრო კავშირურთიერთობები აქვს სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებებთან, სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციასთან.

საკრებულო აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა მუნიციპალიტეტებთან. ასევე სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებთან.

საკრებულოსთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ურთიერთობა აღმასრულებელ ორგანოსთან. საკრებულოს და მერიის კოორდინირებული საქმიანობა ძირითადი საფუძველია მუნიციპალიტეტში ადგილობრივი ხელისუფლების მიერ განსახორციელებელი სამუშაოების წარმატებით შესრულების. წარმოდგენილ ანგარიშში არაერთხელ გაესვა ხაზი, რომ საკრებულოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების დიდი ნაწილი მერიის მიერ იყო ინიციირებული. საკრებულოს მიერ სისტემატურად განიხილებოდა მერიის მიერ მოწოდებული პროექტები თუ წინადადებები. შემოსული პროექტებიდან ყველაზე მიღებულია შესაბამისი გადაწყვეტილება, ხოლო შემოთავაზებული წინადადებები აქტიურად განიხილებოდა კომისიების და ბიუროს მიერ. წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოებისთვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში აქტიურად მიმდინარეობს თანამშრომლობა სხვადასხვა ძირეულ საკითხზე.

მე მოგახსენეთ იმ საქმიანობის შესახებ, რომელიც ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2018 წელს იქნა გაწეული.

ვფიქრობთ, არც თუ მცირედი სამუშაო გასწია საკრებულომ ამ საანგარიშო პერიოდში, თუმცა ჩვენ მზად ვართ, მოვისმინოთ დასაბუთებული შენიშვნები, მივიღოთ ობიექტური კრიტიკა, გავითვალისწინოთ საქმიანი წინადადებები. ღრმად ვარ დარწმუნებული ყოველი მომდევნო წელი გაცილებით უკეთესი იქნება მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის.

და ბოლოს, მინდა მადლობა გადავუხადო საკრებულოს თითოეულ წევრს, საკრებულოს აპარატს, ხობის მუნიციპალიტეტის მერიას საკრებულოსთან თანამშრომლობისა და 2018 წელს გაწეული საქმიანობისათვის.

ედიშერ ჯობავა,
2019 წელი - ივლისი.

11 წელი აგვისტოს ომიდან

ბმირობის თანამეზრობე ისტორიები

მრავალტანჯული საქართველოს სულსა და სხეულს კიდევ ერთი სისხლიანი და მძიმე ჭრილობა დააჩნდა მოუშუშებელ იარად 2008 წლის 8 აგვისტო, რომელმაც საქართველოს ისტორია და გეოგრაფია დროებით შეცვალა. დაიწყო ომი, რომელიც არ უნდა დაწყებულიყო...

8 აგვისტოს ხობში გმირულად დაღუპული ჩვენი თანამოქალაქეების ხსოვნის პატივსაცემად არაერთი ღონისძიება გაიმართა.

წმინდა სამების სახელობის ტაძარში მამა კირიონმა მათი სულების მოსახსენიებელი პარაკლისი გადაიხადა, რომელსაც ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, გმირების ოჯახის წევრები და მუნიციპალიტეტის საზოგადოება ესწრებოდა.

შეკრებილებმა ეკლესიიდან აგვისტოს გმირთა მემორიალთან გადმოინაცვლეს, სადაც კიდევ ერთხელ გაიხსენეს ომში დაღუპული ვაჟკაცები და მემორიალი გვირგვინით შეამკეს.

აგვისტოს უთანასწორო ომში დაღუპულთა ცხოვრებასა და მათი ხსოვნის არდავიწყების მნიშვნელობაზე ისაუბრა ბატონმა ბეჟან ნადარაიამ.

–„2008 წლის 8 აგვისტო საქართველოს მეხსიერებაში ყოველთვის დარჩება როგორც ყველაზე ტკივილიანი და ტრაგიკული დღე.

მიუხედავად ყველაფრისა, სამტროდ მოსულმა მიზანს მაინც ვერ მიაღწია. მიზანი კი ერთი ჰქონდა, ფიზიკურად და მორალურად გაენადგურებინა საქართველო. ქართულმა გენმა და გონმა ღირსეული პასუხი გასცა მომხდურს, ჩვენი სახელოვანი წინაპრების მაღალმა მხედრულმა სულმა XXI- საუკუნეელებს შეახსენა, მთავარია „სამშობლო უპირველეს ყოვლისა“, მამულისთვის თავგანწირვა ბედნიერებაც არის და სიამაყეც.

დიახ, ამ ეროვნულმა სულმა, ღირსებამ, სიყვარულმა გადაგვარჩინა და გადავრჩებით ყოველთვის. ამის მაგალითია 8 აგვისტოს გმირობის საარაკო ისტორიაც, ჩვენ, ხობელებს გვეამაყება, ჩვენი ლომგულა ბიჭებისა, რომლებიც პირველსავე დაძახილზე იყვნენ იქ, სადაც სამშობლოს ჭირდებოდა, აი ისინიც:

გოგა ბერაია;
გოგა ჭითანავა;
დათა ხურცილავა;
ლევან ჭოჭუა;
მიხეილ იოსავა;
გოგიტა ქარჩავა;
ზვიად დათუაშვილი;
ლევან ტურავა;
რამაზ კიტია.

დიდება გმირებს! მათ სახელებს მუდამ გაასხივოსნებს ქართული ზეცა, ქართული მზე...

ბევრი რამ დაიწერა და შეიქმნა აგვისტოს გმირებზე და მომავალშიც დაიწერება, ქართულმა მწერლობამ, ხელოვნების დარგის მესვეურებმა, არა ერთი საინტერესო ნამუშევრები შექმნეს. ქართულმა კინომ შესანიშნავი ფილმი „შინდისის გმირები“ მიუძღვნა მათ გმირობას. ჩამოთვლა ნამდვილად შორს წაგვიყვანს. ხობელებზე, მიშიკო იოსავასა და დათა ხურცილავაზე შესანიშნავი წიგნი გამოიცა ქალბატონ მერი აბრამიას ავტორობით.

დღეს კიდევ ერთი ხობელი გმირის გოგა ჭითანავას ხსოვნისადმი მიძღვნილი წიგნის პრეზენტაციის მოწმენი ვხდებით, ეს გოგას ცხოვრების კიდევ ერთი ლამაზი გაელვებაა“.–თქვა ბატონმა ბეჟან ნადარაიამ.

„–მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრების მანძილზე, ყველაზე დიდი პასუხისმგებლობა ვიტვირთე. თავს უფლება მივეცი და შენი ოჯახის ოცნებისთვის ფრთების შესხმა მოვინდომე. შესაძლოა, თავიდანვე ვერ გავითვალისწინე ის სირთულე, რაც თურმე გმირის წიგ-

ნზე მუშაობას ახლდა თან. მაპატიე თუ ეს საპასუხისმგებლო მისია ისე ვერ შევასრულე, როგორც შენ იმსახურებ, მაგრამ გამიგე, უსურვილოდ დარჩენილ შენს ოჯახს გვერდში უნდა დავდგომოდი...“ ეს სტრიქონები გოგა ჭითანავას ცხოვრების ამსახველი წიგნიდან „სამშობლო როგორც უფალი“... ამონარიდია ავტორის მზეკო ჟვანიას წინასიტყვაობიდან „ზღურბლზე სათქმელი“...

* * *

ბუნებრივად მომყვა ცრემლები და ემოციები...

–უპირველესი საქმე, რითაც შეიძლება ქართველმა ერმა და სახელმწიფომ ამ ადამიანების ღვაწლს ღირსეული პატივი მიაგოს, მათი ოჯახებისადმი გამოვლენილი ყურადღება და დაფასებაა. ჩვენ ვაცნობიერებთ ამ უდიდეს პასუხიმგებლობას და გიცხადებთ ჩვენს უზომო პატივისცემას. გმირები არ კვდებიანო–ამბობენ, დღევანდელი შეხვედრაც ამის დასტური იყო. სამშობლოსთვის თავდადებულის ოჯახის წევრობა დიდი პასუხისმგებლობა და მოვალეობაა–ამ სიტყვებით მიმართეს მუნიციპალიტეტის მერმა გოჩა ქაჯაიამ და საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავამ გმირების ოჯახის წევრებს და მადლობა გადაუხადეს ვაჟკაცი შვილების აღზრდისთვის.

ბატონმა მერმა თავის გამოსვლაში განსაკუთრებით აღნიშნა, რომ ჩვენ ქართველებს, აფხაზებს, ოსებს უერთმანეთოდ არ გვაქვს მომავალი, ჩვენ ერთი მიწის და ერთი ცივილიზაციის სათავეებთან მდგომი ერთი ისტორიული ქვეყნის შვილები ვართ და ჩვენი ბედნიერება ამ მიწის ერთგულებაშია.

ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს დიდი მადლობა გადაუხადა გმირის გოგა ჭითანავას დედამ თანადგომისთვის, დაფასებისთვის.

გოგა ბერაიას დედამ და მიშიკო იოსავას დისშვილებმა ყვავილებით შეამკეს მემორიალი.

ღონისძიების ბოლოს საზოგდოებამ დაათვალიერა ირაკლი შონიას მიერ მოწყობილი ფოტოგამოფენა, დიდი მადლობა მას.

ვინ იცის, რამდენ ზამთარს და გაზაფხულს ჩამოუფურცლავს კალენდარი, რამდენჯერ მოგვიწევს მამულს შეწირული ვაჟკაცების გახსენება, თუმცა ტკივილი ისევ ტკივილად რჩება, უკან ვერაფერს დავაბრუნებთ. ახლა მთავარია, 11 წლის შემდეგ მაინც მათმა დაღვრილმა სისხლმა ფუჭად არ ჩაიაროს, მათი უმანკო სიცოცხლე ერის გამთლიანება ერის სიძლიერის დუღაბად იქცეს.

აგვისტოს ომი, ტკივილი ყველამ სხვადასხვანაირად აღიქვა და გამოხატა. ზოგმა ცრემლებს გაუხსნა გზა. ზოგმა ქვაში აამეტყველა სათქმელი, მავანმა მუსიკაში გააჟღერა სულის გამოძახილი, მე კი სტრიქონებს მივანდე სათქმელი...

ღონისძიებას უდიდესი ტკივილის, ცრემლისა და სევდის მიუხედავად, წითელ ზოლად გასდევდა განცდა, რომ სიცოცხლე გრძელდება, სიცოცხლე მშვენიერია და სიცოცხლე მეფობს.

ნაირა ბერაია.

სოფელი

„მომავალს იმედიანად უყურებენ!..“

ხობის მუნიციპალიტეტში ბია ქალაქთან ერთ-ერთი ახლომდებარე ადმინისტრაციული ერთეულია, რომლის ტერიტორის მოცულობა 1864 ჰექტარს შეადგენს. მასში სამი სოფელი–ბია, ბია-საშონიო და ზემო ბია შედის. ადმინისტრაციულ ერთეულში 250 კომლია 752 მოსახლით. მათ შორის დევნილია 74 ადამიანი.

ფუნქციონირებს სკოლა, 42 მოსწავლით (დირექტორი დარიკო თირქია), საბავშვო ბაღი 21 აღსაზრდელით (სპეციალისტი ელისო მარგიანი), სოფლის ამბულატორიის ოთახი (ექთანი მერი შონია), ასევე ფუნქციონირებს 3 წისქვილი, სავაჭრო და სხვა მომსახურეობის ობიექტი სოფელში არ ფუნქციონირებს.

მოსახლეობის შემოსავლის წყაროს სოფლის მეურნეობის ისეთი დარგები წარმოადგენს, როგორიცაა მესაქონლეობა და მესიმინდეობა. ძირითად შემოსავალს სოფელი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის გაყიდვის შედეგად ღებულობს. შემდეგ მოდის სიმინდი, დაფნა და თხილი. ბოლო წლებში როგორც ცნობილია, აზიური ფაროსანას მიერ განადგურდა თხილის ფართობები, მაგრამ წელს ფაროსანასთან ბრძოლაში მიღწეულმა წარმატებებმა იმედი გაუჩინა მოსახლეობას, რომ თხილის კარგი მოსავალი იქნება, მომავალი კი უფრო იმედის მომცემია მათთვის.

დღეისდღეობით თუ როგორია სოფელში მდგომარეობა, რა გაკეთდა და რა კეთდება ხალხის კეთილდღეობისთვის, ვესაუბრეთ მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელს ბიის ადმინისტრაციულ ერთეულში ბატონ გია შონიას.

ვინ არის გია შონია–გაეცანით მკითხველს?

–დავიბადე 1960 წელს ბიაში. ბიის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ვსწავლობდი აჩიგვარის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში მექანიზაციის ფაკულტეტზე; შემდეგ თბილისის ნ. დუმბაძის სახელობის ჰუმანიტარული ინსტიტუტის იურიდიულ ფაკულტეტზე, სამართალმცოდნეობის სპეციალობით. 1983 წლიდან 2010 წლამდე ვმუშაობდი შსს სტრუქტურაში სხვადასხვა თანამდებობებზე. (ვიყავი მოტივის თანაშემწე, საგზაო საპატრულო სამსახურის ინსპექტორი; უბნის უფროსი ინსპექტორი; სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების უფროსი ინსპექტორი; სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების უფროსი; კრიმინალური პოლიციის უფროსი ინსპექტორ-გამომძიებელი; უბნის ინსპერქტორთა განყოფილების უფროსი ინსპექტორ-გამომძიებელი).

2010-2012 წლებში კი ვმუშაობდი ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საქმისწარმოების და იურიდიული განყოფილების მთავარ სპეციალისტად იურიდიულ საკითხებში.

2017 წლის დეკემბერში დავინიშნე ხობის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლად ბიის ადმინისტრაციულ ერთეულში. დაოჯახებული ვარ. მყავს მეუღლე ხათუნა კვირკველია.

ბატონო გია, გვესაუბრეთ, იმ გამოწვევებზე, რაც დღეისთვის არსებობს ხალხის საკეთილდღეოდ თქვენს კომპეტენციაში შემავალ სოფელში?

–როგორც მთლიანად ქვეყანაში, ასევე ჩვენ ადმინისტრაციულ ერთეულში, მთავარ გამოწვევად რჩება დასაქმება, სამუშაო ადგილების უქონლობა, სოფლიდან ახალგაზრდების გადინება. ჩვენგან დღესაც ბევრია გასული საზღვარგარეთ სეზონურ სამუშაოებზე. სამწუხაროდ, ჯერ არ არსებობს მექანიზმი, რითაც შევძლებთ ამ პროცესის შეჩერებას. იმედია, მომავალში გაჩნდება ახალი სამუშაო ადგილები და ადამიანებს არ მოუწევთ სახლიდან შორს წასვლა.

თქვენთან დიდი ფაციფუცია, ბევრი რამ გაკეთდა და კეთდება. ვინ დააფინანსა სამუშაოები და ვინ ასრულებს მას?

–2018-2019 წლებში ბიის ადმინისტრაციულ ერთეულის ტერიტორიაზე რამდენიმე მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა, რაც დღესაც გრძელდება.

გასული წლის ბოლოს, სტიქიამ, ძლიერმა ქარმა ძალიან დააზიანა ბიის საბავშვო ბაღის შენობის სახურავი. სახურავის სრული რეაბილიტაცია განხორციელდა, რაზეც ადგილობრივი ბიუჯეტიდან 76 ათასი ლარი დაიხარჯა. სამუშაოები შ.პ.ს. „აფო“-მ. (დირექტორი ამირან აფაქიძე) შეასრულა.

ზემო ბიაში შიდა სასოფლო გზა ამორტიზებული იყო, მოსახლეობას გადაადგილება უჭირდა. განსაკუთრებით დაზიანებული იყო წყაროდან ეკლესიის გადასახვევამდე გზის მონაკვეთი, სადაც ტრანსპორტით გადაადგილება თითქმის შეუძლებელი იყო. ჩატარდა გზის რეაბილიტაცია, რაც მთავრობის მიერ, სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ გამოყოფილი თანხიდან დაფინანსდა და მისმა სახელშეკრულებო ღირებულებამ 44 000 ლარამდე შეადგინა. სამუშაოები შეასრულა შ.პ.ს. „აფო“-მ. სამუშაოების წარმოების დროს რამდენიმე ადგილობრივიც იყო დასაქმებული.

მთავარ ინფრასტრუქტურულ პროექტად, რაც ჩვენი ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე განხორციელდა და დღემდე გრძელდება, არის შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ხობი-საჯიჯაო-ლესიჭინეს საავტომობილო გზის ბიის მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელსაც შ.პ.ს. „შარა-გზამშენი პირველი“ (დირექტორი გულად ბერაია) აწარმოებს.

როგორია ბიელთა განწყობა, როცა მნიშვნელოვანი საქმეები კეთდება, ასევე თქვენი, როგორც ლიდერის როლი ამ საქმეებში. თქვენი მუშაობის პერიოდში რას მიიჩნევთ ყველაზე დიდ მიღწევად?

–უდაოდ, გაკეთებულ თუ გასაკეთებელ საქმეებში აქტიურად ვმონაწილეობ, ეს ჩემი სამუშაოს მნიშვნელოვანი მომენტებია, ვცდილობ, ყოველთვის კომპეტენციის ფრაგლებში ვიმოქმედო.

ბიელთა განწყობა გაკეთებული საქმის მიმართ რა თქმა უნდა დადებითია და მომავალ პროექტებსაც იმედიანად უყურებენ. უკვე განხორციელებული პროექტები იძლევიან ამის საფუძველს. საამისოდ დიდი მადლობა მათ!

ამ ბოლო პერიოდში ყველაზე დიდ მიღწევად აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის წარმატებას და საავტომობილო გზის რეაბილიტაციას მივიჩნევ.

როგორ ვითარდება სოფელში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა?“

–„სოფლის მხარდაჭერის პროგრამით” გათვალისწინებული იყო ბიის ადმინისტრაციული ერთეულის სამივე სოფელში, კრებაზე გამოთქმული მოსაზრებები. მოსახლეობამ ერთხმად აირჩია ბიის საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია, რომლის სახელშეკრულებო ღირებულებაა 32000 ლარი. შ.პ.ს. „ნიკა-იკა“ (დირექტორი ნუგზარ წოწონავა) აწარმოებს. დასაქმებულები იყვნენ ადგილობრივი ხელოსნები დაზმირ კარტოზია, მერაბ შონია, ზურაბ ბიგვავა, ზური ჭიჭინაძე. სამუშაოები ახლაც ინტენსიურად მიმდინარეობს და მალე დასრულდება.

ახალი სასწავლო წლიდან, ბიელი აღსაზრდელები განახლებულ და თანამედროვე სტანდარტებით მოწყობილ საბავშვო ბაღში გააგრძელებენ სწავლას...

რას გვეტყვით სამომავლო პროექტებზე?..

–მომავალი პროექტებიდან გამოვყოფდი მდინარე ხობისწყალზე საფეხმავლო ხიდის რეაბილიტაციას, რომელიც 2017 წლის ზაფხულში წყალდიდობის დროს დაზიანდა. მოსახლეობა მტკივნეულად აღიქვამს ამ ფაქტს, რომ დღემდე ვერ მოხერხდა ხიდის აშენება. ათეულ ოჯახს სიმინდის ფართობები მდინარის გადაღმა აქვს და შემოვლითი გზით, ხობის გავლით უწევთ მათ საკუთრებაში არსებულ ფართობამდე მისვლა, რასაც სირთულეები ახლავს.

როგორც ჩვენთვის ცნობილია, ხიდის რეაბილიტაციის პროექტი მზადაა და ახლო მომავალში მშენებლობის ტენდერი გამოცხადდება.

მომავალი პროექტებიდან მნიშვნელოვანია საქართველოს მთავრობის ის განკარგულება, რომლის თანახმად, საქართველოს მოსახლეობის ბუნებრივი გაზით მომარაგების ხელშეწყობისთვის 2019-2021 წლებში განსახორციელებელ ღონისძიებათა გეგმაში ჩვენი მუნიციპალიტეტის სოფლები და მათ შორის ჩვენი ადმინისტრაციული ერთეულიც არის მითითებული. აღნიშნულს ამყარებს ის ფაქტიც, რომ ბიის გაზგამანაწილებელი სადგურიდან ჩხოროწყუს მიმართულებით უკვე მიმდინარეობს გაზსადენი მილის გაყვანის სამუშაოები. ასე, რომ პერსპექტიულია უახლესი მომავალი... ბიელები მომავალს იმედიანად შეჰყურებენ!

ბატონო გია, წარმატებებს გისურვებთ სამომავლო გეგმების რეალიზაციაში.

ესაუბრა ნანი კილასონია.

აფხაზეთი_ტკივილი ჩვენი!

აფხაზეთის მონატრება

ნინო ქუთათელაძე, პოეტი.

ძვირფასო მეგობრებო, გენატრებათ აფხაზეთი?! მე უკვე სიზმრადაც ვერ ვხედავ ზღვასა და წებელდის მთებს, ფორთოხლისა და მანდარინის ნარინჯში ჩაფლულ სოფლებს, მაგნოლიის ხეივანს სოხუმში, ახალი ათონის ხელოვნურ ტბაზე მოსრიალე გედებს, ჩანჩქერს ზემოთ, ოდნავ მარჯვნივ გადახრილ ქვის ვეება ჯვარს, ივერიის მთას სიმონ კანანელის გამოქვაბულითა და კარსტული მღვიმეებით, ძველი გაგრის ბულვარს, ბიჭვინთის ტაძრის გლუვ კედლებსა და საფეხურებს, აღარ მესმის ხაოიანი აფხაზური–სარა ბარა ბზიეს ბოიტ–ერთმანეთისთვის ნათქვამი ლამაზი სიტყვები. მინდა გითხრათ, რომ მე არა მარტო აფხაზეთი, აფხაზებიც მენატრება და სწორედ ამ მონატრებად ჩამითვალეთ ეს წერილი. მინდა აფხაზური ლიტერატურის კლასიკოსი ბაგრატ შინკუბა გავიხსენო.

ბატონ ბაგრატს ხშირად შევხვედრივარ სოხუმის სანაპიროზე, მაგრამ მასთან დალაპარაკება არასოდეს მიცდია, რა თქმა უნდა, მანამ, სანამ იძულებული არ გავხდი, ინტერვიუ ჩამომერთმია მისთვის. ბევრი მაშინებდა მაშინ, ინტერვიუზე არ დაგთანხმდება, ქართველები არ უყვარსო... არადა, დამთანხმდა და სახლშიც მიმიწვია, შვილიშვილებიც გამაცნო... დღემდე მახსოვს ლამაზთვალება, სათნო გოგონა, მისი შვილიშვილი, სახელად–გუნდა. არ ვიცი, რატომ განეწყო ჩემს მიმართ კეთილად... იქნებ იმიტომ, რომ გაიგო–პოეტი ვიყავი... იქნებ იმიტომ, რომ ერთად აღმოვჩნდით მუჰაჯირობისადმი მიძღვნილ გამოფენაზე, რომელზეც აფხაზმა პოეტმა, ნელი თარბამ მიმიწვია... იქნებ იმიტომ, რომ როცა ქალბატონი ნელი წერილებსა და წარწერებს მითარგმნიდა, მე და მას თვალები ცრემლებით გვქონდა სავსე... იქნებ იმიტომ, რომ უბედურება, ან მისი შეგრძნება და განცდა უფრო აახლოვებს ადამიანებს...

ერთხელ მის მშობლიურ სოფელ ჭლოუშიც მოვხვდი. ბატონი ბაგრატი გულგახსნილი მასპინძელი გამოდგა. მაგრამ ყველაზე მეტად ჭლოუს ბუნებამ გამაოცა, თუმცა რა უნდა გიკვირდეს საქართველოში მცხოვრებ ქართველს?! ჭლოუ, დიახაც, რომ ორ ფერში ლივლივებს, აქ ერთმანეთს მსუბუქ ზოლებად ენაცვლება მწვანე და ლურჯი, უფრო სწორად კი–მწვანისა და ლურჯის სხვადასხვა ტონი... მაშინ ბატონ ბაგრატს ის ლექსიც წავაკითხე, ამ სოფელს რომ უძღვნა და, რომელიც შემდეგ არჩილ სულაკაურმა სიმღერასავით თარგმნა: **„ჭლოუ, ჭლოუ, აქ დამერწა //ყრმობის აკვანი //და პირველი ჩემი ლექსის // /ბუდეც აქ არი.//** მართლაც, როგორ შეიძლება აქ არ ამღერდეს კაცი?!

ბაგრატ შინკუბა 1917 წლის 12 მაისს დაიბადა. 1939 წელს დაამთავრა მაქსიმ გორკის სახელობის სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტი. შესანიშნავად იცოდა აფხაზური, ქართული, რუსული, ადიღეური და უბიხური ენები. დიახ, ის არამარტო პოეტი და პროზაიკოსი, არამედ ისტორიკოსი და ლინგვისტიც გახლდათ. აფხაზეთის ისტორიის საკვლევად მას ერთხანს თბილისშიც უცხოვრია. აქედან მოდის მისი ერთი უცნაური მოგონებაც... ჩვენი არაოფიციალური საუბრისას, ბატონი ბაგრატი უცებ გაიხსნა. გამიკვირდა კიდეც ამ, ერთი შეხედვით, გოროზი ძლიერი კაცის სიყვარულზე ალაპარაკება. სიყვარულზე საუბარი კი ისეთი რამეა, უცებ გაახლოვებს ადამიანთან, რადგან შენს პირად განცდებს გადასცემ სხვას. თავდაპირველად ბატონმა ბაგრატმა კონსტანტინე გამსახურდია გაიხსენა, თუ რა დიდი ამაგი ჰქონდა მას აფხაზ ხალხზე, როგორ აქცია მან საქვეყნოდ აფხაზი ხალხის გამორჩეული თვისებები, ტრადიცია, კულტურა... შემდეგ გაიხსენა დიდი გალაკტიონი და ქართულადაც კი წაიკითხა ერთი ჩვენთვის კარგად ცნობილი ლექსის სტროქონები: „გამარჯობა, აფხაზეთო შენი,// ლურჯო ზღვაო, თეთრო სანატორია...// მერე უცებ გიორგი ლეონიძესა და მის პოეზიას შეეხო და... ერთი ფრაზა აღმოხდა: „როგორ მიყვარდა?!“ გავოცდი... ვინ გიყვარდათ-მეთქი, ვკითხე რუსულად, რადგან საუბარი რუსულ ენაზე წარიმართა. ნესტან ლეონიძეო - მიპასუხა დაუფიქრებლად. მაშინ ასეთი კი არ ვიყავი, გამხდარი, აწოწილი და ცოტათი მოუხეშავიც გახლდით. პირველად რომ დავინახე, მეგონა გული გამისკდებოდა. მისმა მომხიბლაობამ უცებ დამატყვევა. ერთი ცოდვაც უნდა ვაღიარო, უჩუმრად უკან დავყვებოდი. როცა შემამჩნევდა, მხოლოდ მაშინ გამოველაპარაკებოდი ხოლმე. ვერ ვბედავდი სიტყვის თქმას. ბატონი გიორგი ხშირად გვეპატიჟებოდა სადილად, იშვიათად, მაგრამ სახლშიც მიგვიწვევდა ხოლმე. ჰოდა, (დიახ, ეს სიტყვა იხმარა ქართულად) ერთხელაც ძალა მოვიკრიბე და ქალიშვილის ხელი ვთხოვე. შეჩერდა... პაუზა გაგრძელდა, თვალებში საოცარი სითბო ჩაუდგა ამ კლდესავით კაცს, სივრცეს გაჰყურებდა აივნიდან. „მერე რა მოხდა-მეთქი...“ ეგ თქვენ ჩემზე უკეთ იცითო - მიპასუხა და ბოლოს დაამატა, იცით, რა მითხრა?! –თუ ნესტანი თანახმაა, მე არაფერი მაქვს საწინააღმდეგოო, მაგრამ სამწუხაროდ, მერე გავიგე, ნესტანს სხვა უყვარდა. ასე დასრულდა ეს ამბავი, მაგრამ მე დღესაც მადლობელი ვარ იმ გრძნობისთვის, რომელიც მაშინ, შორეულ ახალგაზრდობაში განვიცადე.

ალბათ იმ დროიდან შემორჩა პოეტში უცნაური მოწიწება ქართველი ქალის მიმართ, რუსთველის პროსპექტზე კვლავ და კვლავ გავლის სურვილი: **„მზე მიიმალა მთაწმინდის ზევით, //გამოესალმნენ დუმილით მთები, //დღისით რუსთველზე მზე იყო მწველი // და ახლა ბინდი ეშვება ფრთებით. //ყელმოღერილებს დამფრთხალ შვლებივით/ /ლამაზ გოგონებს ღიმილით ვზვერავ// და მე მაჩერებს, როგორც ჯებირი, //მათი ამაყი, კეთილი მზერა.//**

ამ უცნაური ამბის მოყოლისას კიდევ ერთი ლექსი გამახსენდა, ბაგრატ შინკუბას გრიგოლ აბაშიძის მიერ თარგმნილი პატარა ლექსი: **„ღამის ნათელი შარაგზას მისდევს, //ველ-მინდვრებს შუქი ანათებს მკრთალი, //მთვარემ მოისხა ღრუბლების რიდე// და მოგვარიდა დარცხვენით თვალი.// დაბერე, ქარო, ეს რიდე შავი/ /ამხადე, თორემ მარტო ვით გავძლო! / /მინდა სიტყვები, ვით ოქროს ხვავი, //მივართვა მთვარეს–ჩემს ციურ სასძლოს.//**

ჩემს შემეცნებაში ბაგრატ შინკუბა ისევ ლირიკოს პოეტად დარჩა, მიუხედავად მისი შესანიშნავი პროზაული ქმნილებებისა. რაკი პროზაულ ქმნილებებზე ჩამოვარდა საუბარი, არ შეიძლება არ შევეხო, პირადად ჩემთვის ძალიან საინტერესო რომანს „უკანასკნელ უბიხს“, რომელიც 1974 წელს გამოქვეყნდა და სამიოდ წელში უკვე ქართულადაც ითარგმნა. ის თარგმნა მშვენიერმა ქართველმა ქალბატონმა თამარ ჩიჯავაძემ. რომანს ეპიგრაფად აქვს წამძღვარებული მეტად საინტერესო და ჩვენთვის დიდად ყურადსაღები აფხაზური ანდაზა: **„სამშობლოს დამკარგავი ყველაფერს კარგავს“**. და მაინც... ვინ იყვნენ უბიხები? უბიხები მათ ჩერქეზებმა შეარქვეს, თავის თავს კი ისინი „თვაფხებს“ ეძახდნენ. უბიხები შავი ზღვის კავკასიონის სანაპიროზე მდინარეებს შახესა და ხოსტას შორის სახლობდნენ. “კავკასიის ომის დასასრულს, როდესაც უბიხების შეურიგებელ პოზიციას წააწყდა, მეფის მთავრობამ მათ ბელადებს ორი მკაცრი არჩევანი შესთავაზა: დაეტოვებინათ მთები და ჩრდილო-დასავლეთის დაბლობზე ან თურქეთში გადასახლებულიყვნენ. უბიხების ბელადების არჩევანი შორსმჭვრეტელური არ აღმოჩნდა. 1864 წელს უბიხები, თავისი ბელადების კვალდაკვალ, თურქეთში გადასახლდნენ. **// როგორც ქარიშხალს გადარჩენილი, ქანცგაწყვეტილი ფრინველები ვერ ახერხებენ ერთად ყოფნას, ასე დაიფანტნენ უბიხები ახლო აღმოსავლეთის სხვადასხვა ქვეყანაში.“**–მოგვითხრობს რომანის წინასიტყვაობაში ბაგრატ შინკუბა.

რა არის გადასახლება და გაყოფილი ტერიტორიები, ეს ქართველებზე უკეთ ვინ იცის?! გავიხსენოთ თუნდაც ფერეიდნელთა ამბავი, თუნდაც ჰერეთი, თუნდაც ლაზეთი ან იგივე სოჭის მხარე... ამ უკანასკნელზე დღეს, შეიძლება ითქვას, რომ არცერთი ქართველი აღარ სახლობს. პატარა ერებს ერთმანეთის უკეთ ესმით, დიდ ერებს კი მხოლოდ ტერიტორიები აინტერესებთ საკუთარი მრავლობითობის გადასანაწილებლად. თქვენ ვერც კი დაიჯერებთ, რა კარგად ესმოდა ეს ბაგრატ შინკუბას. როცა ჩვენ უბიხებზე ვსაუბრობდით, სწორედ ეს მითხრა მხცოვანმა აფხაზმა, **„თქვენ ყველაზე უკეთ უნდა გესმოდეთ ჩვენი“.** ეს ფრაზა სამუდამოდ ჩარჩა ჩემს მეხსიერებაში. როცა აფხაზებთან ომის შემდეგ ბაგრატ შინკუბას ადგილ-სამყოფელი მოვიკითხე, მოსკოვში ცხოვრობსო, მითხრეს. მართალი გითხრათ, ძალიან შემებრალა მწერალი, რომელიც მთელი სიცოცხლე აფხაზური კულტურის სათავეებთან იდგა.

იმავე „უკანასკნელ უბიხში“ ერთ საინტერესო ადიღეურ ზღაპარსაც გვიამბობს რომანის მთავარი გმირი - ზაურყან ზოლაკი: „ოდესღაც ერთი კაცი ცხოვრობდა, ყველა ენა იცოდა: კურდღლისა და ჭიანჭველისა, ერთხელ ტყეში მიდიოდა და უნებურად ჭიანჭველას დაბიჯა. გაბრაზებულმა ჭიანჭველამ შესძახა:

„-ვინ არის ეს უკეთური, რომ მიდის და ძირს არ იხედება?

ეს რომ გაიგონა კაცმა, ჭიანჭველა ხელის გულზე დაისვა და გაოცებული ათვალიერებდა. - ეს რა დიდი თავი გაქვს?

-ეს იმიტომ, ტვინი რომ შეგინახო შიგ.

-ასეთი წვრილი წელი რატომღა გაქვს?

-იმიტომ კი არ ვცხოვრობ, რომ ვჭამო, იმიტომ ვჭამ, რომ ვიცხოვრო.

-რამდენის ჭამა შეგიძლია ერთ წელიწადში?

-ერთ წელიწადს ხორბლის ერთი მარცვალი მეყოფა.

-მაშ კარგი, ვნახოთ, გეყოფა თუ არა ერთ წელიწადს ხორბლის ერთი მარცვალი, - უთხრა კაცმა. ჩასვა ჭიანჭველა ყუთში და ხორბლის მარცვალი ჩაუგდო შიგ.

გავიდა ერთი წელი, გაახსენდა კაცს ჭიანჭველა, გახსნა ყუთი და გაოცდა, ჭიანჭველას მხოლოდ ნახევარი მარცვალი შეეჭამა.

-ნახევარ მარცვალზე მეტი რატომ არ შეგიჭამია?

-იქნებ იმ სულელ კაცს ტყუილუბრალოდ რომ გამომამწყვდია დილეგში, ერთი წლის კი არა, ორი წლის შემდეგ გავხსენებოდი. ჰოდა, მეც ყოველი შემთხვევისთვის შემოვინახე ეს მარცვალი.–უთხრა ჭიანჭველამ.

ალბათ იმიტომ მახსოვს ეს ზღაპარი ასე კარგად, რომ ჩემი ცხოვრების გზაზე ხშირად ვიხსენებო.“

და იცით, რა ფრაზებს მოაყოლა აღნიშნული ზღაპარი? **„ტყუილად ამბობენ, ჩემო ძვირფასო შარახ, რომ ადამიანს ენის დავიწყება შეუძლია, იმ ენისა, ძუძუსთან ერთად რომ შეუწოვია. არა, არ შეუძლია. ისევე როგორც არ შემიძლია მე დედაჩემის დავიწყება. სამი ენა ვიცოდი ახალგაზრდობაში, ისე თუ დადგები, რომ ზღვას უყურებდე, ჩვენგან–უბიხებისგან მარჯვნივ, ადიღეელები ცხოვრობენ, მარცხნივ კი - აფხაზები, ჩვენ ახლო მეზობლები ვიყავით და არ შეიძლება ეს ენები არ გვცოდნოდა.“** ალბათ თქვენც ხვდებით, რა გვითხრა ამ სიტყვებით ბაგრატ შინკუბამ... თუ მეზობლები ვართ, ერთმანეთის ენასაც უნდა ვცეთ პატივიო. ენა საკრალური მნიშვნელობის ფენომენია ყველა ერისთვის... მე გავიგე მისი, მე იმიტომ არ ვლაპარაკობ ქართულად, თუმცა ვიცი ეს ენა, რომ თქვენ არც კი ცდილობთ, შეითვისოთ თქვენი მეზობლის ენა.

არ ვიცი, თქვენც გაგაგებინეთ, თუ არა, მაგრამ ფაქტი ჯიუტია–სიყვარული და პატივისცემა სიყვარულსა და პატივისცემას ბადებს. და რაკი კვლავ სიყვარულს მივუბრუნდით ბაგრატ შინკუბას ლექსის ერთ მშვენიერ თარგმანსაც შემოგთავაზებთ, ლექსს კი „წყურვილი“ ჰქვია: **„აი, გაისმის მამლის ყივილი, //ცხენის ფეხის ხმა მოედო შუკებს, //გოგონა სარკმელს აღებს ღიმილით// და ძაღლს უწყრება –„მურია, ნუ ყეფ.“ //აი, მხედარი შედგა ჭიშკართან, //ფიცხელი ცხენი ტორს სცემს მიწაზე. //სარკმელში გოგო ამოცისკარდა// და ვაჟის ქურდულ მზერას იტაცებს. //–დედა, დედიკო, ვიღაც მგზავრია, //წყალს ამოვიღებ, ალბათ სწყურია...// შვილო, გავარდი, ღვინო მიართვი, //ღვინის მირთმევა აფხაზურია. //დედა, მხედარი გარს უვლს ეზოს, //როგორ უხდება ცხენის ჭენება, //ვაიმე, მამა რომ შემოესწროს, //მაშინ რაღა ვქნათ, რა ეშველება! //-არაფერია... მე შევახსენებ...// და მოიგონოს იქნებ თვითონაც, //როცა ჩვენს სახლთან იდგა ასევე// ხახაგამშრალი და წყალს ითხოვდა...“//** სატრფიალო ლირიკას მაინც სხვა ეშხი აქვს, სხვა ეშხი აქვს მას აფხაზურ პოეზიაშიც. აქ ჩანს კდემამოსილება, პატივისცემა, ტრადიციების ერთგულება და ენების დაუოკებელი ჟინიც.

ბაგრატ შინკუბას პოეზიაში დიდი ადგილი უკავია პატრიოტულ ლირიკასაც და ეს არც არის გასაკვირი, რადგან პატარა ერის შვილი სიტყვას ეჭიდება, სიტყვას, რომელიც მისთვის უფალია და არ შეიძლება სხვა რამე იყოს... მინდა გავიხსენო მისი რომანი ლექსად „კლდის სიმღერა“, რომელშიც ყველაფერი ერთად არის შენივთებული და წარმოსახული: სიბრძნეც, მამულის სიყვარულიც, მეგობრობის ძალაც და დიდი სიკეთეც. ეს პოემაც დაწერისთანავე ითარგმნა ქართულად და ვისაც ჩემი არ გჯერათ, შეგიძლიათ თვითონ განმარტოვდეთ ამ რომანთან. 1967 წელს ბაგრატ შინკუბას აფხაზეთის სახალხო პოეტის სახელი მიენიჭა, ხოლო ზემოთ დასახელებული რომანისთვის მან აფხაზეთის სახელმწიფო, დიმიტრი გულიას სახელობის პრემიაც დაიმსახურა.

მეგობრობისა და ძმობის ძალაზე გესაუბრებოდით და სწორედ ახლა მინდა შემოგთავაზოთ ირაკლი აბაშიძის მიერ თარგმნილი ლექსი „შართა ამთა“, რომელიც ჩვენებურად „მრავალუამიერს“ ნიშნავს. სხვათა შორის, მინდა აღვნიშნო, რომ იმ პერიოდში, როცა ირაკლი აბაშიძე საქართველოს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე იყო, ბაგრატ შინკუბა აფხაზეთის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარეობდა. ისინი, როგორც მსმენია, გულითადი მაგობრები იყვნენ... **„შართა ამთა! ძმობის გარდა, //ქვეყნად არის რამ ძლიერი? //თქვენი სადღეგრძელო იყოს, //თქვენი მრავალუამიერი!// როგორც ადათ-წესი ითხოვს, //დღე ჰქონოდეს ბედნიერი, //მისი სადღეგრძელო იყოს,**

6

5

//მისი მრავალჟამიერი!“ –ასეთი მაჟორული ინტონაციები, ცხადია, ეპოქის ნიშანია, მაგრამ მეგობრობა და ძმობა მთიელთათვის მაინც მარადიული ცნებებია. და თუ აფხაზურ ლიტერატურას არ გვინდა მივუგდოთ ყური (ისე კი, რატომ არ უნდა მივუგდოთ, არ მესმის!), ქართული ლიტერატურის შედევრებს მაინც დავუჯეროთ... გავიხსენოთ თუნდაც, აკაკის „გამზრდელი“, კონსტანტინე გამსახურდიას „მთვარის მოტაცება“, ლეო ქიაჩელის „ჰაკი აძბა“, შოთა ნიშნიანიძის „აფხაზური კანტატა“... მეტი რაღა გითხრათ.?!..

ბაგრატ შინკუბა ბევრს შრომობდა, თხზავდა, თარგმნიდა, წერდა ისტორიულ ნარკვევებს და პოლიტიკურ საქმიანობასაც ეწეოდა. იცოდა, სად გაევლო ხაზი, სად იწყებოდა და სად თავდებოდა აფხაზთა თავისუფლება. ამისი დასტურია მისი საყოველთაოდ ცნობილი რომანი, სხვათაშორის, ბოლო რომანი „გაპობილი ქვა“. მაგრამ მე მინდა კვლავ გავიხსენო „უკანასკნელი უბიხი“. ამ ნაწარმოების დასასრულს ზაურყან ზოლაკი ფურცლებად აკინძულ თავის ნააზრევს ამავე რომანის გმირს შარახ ქვაძბას ატანს და ეუბნება: **„ძვირფასო შარახ, გადაშენებული უბიხებისაგან ესღა დარჩა. წაიღე ისინი აფხაზეთში.“** იქნებ აფხაზთაგანაც ცოტა თუ დარჩა და დღეს ჩვენი ვალდებულებაა, არა მარტო გადავარჩინოთ ჩვენი თვითმყოფადობა, არამედ დავიცვათ ისინიც, უბიხების ბელადების მსგავს პოლიტიკოსთა არაშორსმჭვრეტელურ გადაწყვეტილებათა გამო რომ აითქვიფა უცხო ტომელთა ზღვაში. ახლა კი მინდა მივმართო ბატონი ბაგრატის სულს, რომელიც ალბათ ზემოდან დაგვყურებს და კვლავ განიცდის ჩვენს ასეთ ყოფას: „დად, გვახსოვხართ, ხშირად გიგონებთ!... დად, ღმერთმა ნათელში ამყოფოს თქვენი მართალი სული!“ და ბოლოს შემოგთავაზოთ ბატონი ბაგრატის ლექსი „ანდერძი“, რომელიც აფხაზურიდან ისევე შესანიშნავად და სიყვარულით თარგმნა ქართველმა პოეტმა შოთა ნიშნიანიძემ, როგორი სიყვარულიც გამოხატა თავის ლექსებში საქართველოს ამ მშვენიერი კუთხისადმი. **„მოხუცმა შვილებს დაუტოვა ოქროს ანდერძი, //ანდერძი–გულზე სასოებით ამოსაძერწი. //–ამ წუთისოფლად ულეველი მხოლოდ წყალია, //მაგრამ მწყურვალნი, შვილნო ჩემნო, მრავლად არიან. //წყაროს და ბინულს გაუფრთხილდით, ეს გქონდეთ წესად, //დაე, მწყურვალმა გზად წყალი შესვას.// დაე, მაშვრალნი წყალთან ერთად შესვამდნენ ხალისს...// შვილებო ჩემო, არ მოაკლოთ დოლაბებს წყალი. //დაე, ტალღები ეცემოდეს წისქვილის ბორბალს, // ფქვავდნენ და ფქვავდნენ დოლაბები ოქროსფერ ხორბალს. //შვილებო ჩემო, არ ჩააქროთ კერიის ცეცხლი, //ჭერქვეშ ისმოდეს ჭიკჭიკი მერცხლის.// ოღონდ გახსოვდეთ, რაც მთავარია: //წყალი და ცეცხლი მტრები არიან...//**

დიახ, სამშობლოს დამკარგავი ყველაფერს კარგავს....

„ცისკარი“, 1916, №9.

უცნობი ხობელები

ილია კუჭუხიძე

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მიუნხენთან ახლოს კირჰაიმში ცხოვრობდა ქართველი ემიგრანტი ილია კუჭუხიძე, რომელიც ცნობილია მინდია ლაშაურის სახელით. აღსანიშნავია, რომ კინდლერის ენციკლოპედიაში–ახალი ტომები შესულია ბიოგრაფიული ცნობები ილია კუჭუხიძის შესახებ. მას ეკუთვნის მრავალი თხზულებები საქართველოს ისტორიის, ქრისტიანობის, ქართული სულის, ცოტნე დადიანის შესახებ. ასევე უამრავი ისტორიული მოთხრობა, მოგონებების წიგნი, მხატვრული თხზულებები და წერილები.

მაგრამ, სანამ ბატონი ილია მიუნხენში დაიდებდა ბინას თავდაპირველად იყო საქართველო. იგი 1906 წლის 18 ივნისს ხობში დაბადებულა. მამა–ვასილ კუჭუხიძე თერძი იყო (ჩოხებს კერავდა), დედა–ქრისტნე ქარდავა.

ბავშვობას ილია თავის ჩანაწერებში ძალიან ტკბილად იხსენებს. იგი წერს:

„ხობი არის ჩემი საყვარელი სამშობლო და ხობისწყალი თერგივით რო ღრიალებდა, ტკბილ მელოდიასავით ჩამესმოდა ყურში. ხობში გავატარე ჩემი ბედნიერი ბავშვობა, ხობი დაუვიწყარია დღესაც ჩემთვის.“

ხობის სამრევლო სკოლის დამთავრების შემდეგ, ჯერ ქუთაისში გააგრძელა სწავლა, შემდეგ კი ბათუმის ჰუმანიტარულ ტექნიკუმში. 1925 წელს ჩააბარა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე, პარალელურად სწავლობდა სოციალურ–ეკონომიკურზე, იურიდიული განხრით. იურისტობა ძალიან უნდოდა, მაგრამ მალე მიხვდა, რომ მისი მოწოდება ქართული ფილოლოგია და ქართველი ერის ისტორია იყო. სტუდენტობის პერიოდში ილიას ბათუმში მოუხდა ჩასვლა,სადაც ხელმოკლე, ღარიბ, 15 წლის ბიჭს, რომელსაც მუდმივი ბინა არ გააჩნდა ბუხუნაიშვილების კეთილმა ოჯახმა შეიკედლა და შვილივით მიიღო: სწორედ იქ გაიცნო სიმონ ჩიქოვანი,რომლის ოთახის მეზობელიც კი იყო ერთხანს და მან მოაწყო ლეგიონის კლუბთან არსებულ ლეგიონერთა დრამწერში მოკარნახედ.

თავდაპირველად ილია იურისტობაზე ოცნებობდა. ურიდიულ ფაკულტეტზე სწავლისას პროფესორმა ლუარსაბ ანდრონიკაშვილმა რამდენჯერმე ჩაჭრა საგანში და უთხრა: „შენ ხარ ჩემი ბატონი, შენგან იურისტი არ გამოვა,სხვა გზა ეძიეო...“ და მართალიც გამოდგა, ეძია ილიამ ეს „სხვა“ გზა და მიაგნო კიდეც, ეს იყო ქართული ფილოლოგია და ქართული ერის ისტორია.

წერა ადრე დაუწყია. პირველი ნაწერი თეატრზე 1924 წელს იოსებ იმედაშვილის ჟუნალ „თეატრსა და ცხოვრებაში“ დაუბეჭდავს, ხოლო პროფესორ აკაკი ფაღავას რეკომენდაციით 1931 წელს გამოუქვეყნებია პიესა „თებერვალი სოფლად“, რომელიც დაუდგამთ კიდეც.

1941 წლის ივნისში დაიწყო მეორე მსოფლიო ომი და ილია ჯარში გაიწვიეს. იგი მოხვდა „ბაო“–ს ნაწილში (რომელიც ასე იშიფრებოდა „ბატონ აეროდრომნოგი ობსლუჟვანია“). იქიდან თბილისის სამხედრო ბანაკში მოხვდა. ფრონტზე იყო შიმშილი, ამას საზარელი ზამთარიც ემატებოდა. მართალია, პლაკატებით იყო აჭრელებული ყველაფერი წარწერით:–„ყველაფერი ფრონტისათვის“, მაგრამ რეალურად ფრონტისთვის არც არაფერი იყო.წარმოიდგინეთ, რომ ასეულს, სადაც ილია იყო მხოლოდ ათი თოფი ჰქონდა. 1942 წლის 15 მაისს გერმანელებმა თოფების გაუსროლად ათასობით ტყვე ჩაიგდეს ხელში, მათ შორის ილიაც. ილია იხსენებს: „დავყავდით გადარაზულ ვაგონებით ხან სად, ხან სად. სტალინმა განაცხადა: მე ტყვე არა მყავს და ვინც ტყვედ ჩავარდა სამშობლოს მტერიაო... ტყვეთა ბანაკში აუტანელი მდგომარეობა იყო. გაგვხადეს „ბატინკები“ და პოლანტური ხის ქოშები ჩაგვაცვეს. დღიურად ათი ადამიანი კვდებოდა შიმშილისგან. „საბედნიეროდ ილიას პატრონად ძველი ემიგრანტი ვლადიმერ ცხომელიძე მოევლინა,რომელმაც მოუარა, ჩაცვა და პოლონეთში რადომთან ახლოს სოფელ კრუჩინაში მდგომ ქართულ ლეგიონში წაიყვანა,სადაც ბიბლიოთეკის მუშაკად მოეწყო.შემდეგ ბერლინიდან ჩამოვიდა ქართული გაზეთის „საქართველოს“ მთავარი რედაქტორი გაიოზ მაღლაკელიძე, ილია თან წაიყვანა და დანიშნა რედაქციის მდივნად. გარდა გაზეთ საქართველოსი მუშაობდა „ქართველი ერის“ რედაქციაში, რომლის მთავარი რედაქტორი იყო გიორგი მაღალაშვილი, ხოლო ფაქტიური რედაქტორი–ვიქტორ ნოზაძე. ეს სწორედ ის ჟურნალი იყო, რომელთანაც თანამშრომლობდა მაშინდელი მთელი ელიტა: გრიგოლ რობაქიძე, აკაკი პაპავა, ტიტე მარგველაშვილი და სხვები. საბჭოთა არმია ბერლინს უახლოვდებოდა, მთელი ემიგრაცია ზალცბურგში გადასახლდა. ილიაც თან გაჰვა მათ. ომი რომ დამთავრდა ბინა ზემო ბავარიის სოფელ რუპოლდინგში დაიდო, სადაც ლუკმა–პურისთვის გლეხთან მუშაობდა და მასთან ერთად ჭრიდა ხეს და ამზადებდა შეშას.შემდეგ მიუნხენში ჩავიდა, სადაც უკვე ბედმა გაუღიმა, აკაკი პაპავას რეკომენდაციით მუშაობა ამერიკელების მიერ დაარსებულ რადიო „თავისუფლებაში“ ქართულ რედაქციაში მდივნის თანანამდებობაზე დაიწყო.

რადიო „„თავისუფლება“ 1953 წელს ჩამოყალიბდა და გადაცემები იმავე წლის 1 მარტს გავიდა. რაც შეეხება ქართულ ენაზე გადაცემებს 1953 წლის 17 მარტს დაიწყო. რაშიც დიდი როლი მიუძღვის ნოე ცინცაძეს. პირველად ქართული რედაქცია შემდეგი პირებისაგან შედგებოდა:რაჟდენ არსენიძე, დავით ურატაძე და ილია კუჭუხიძე. ეს სამი პირი ქართული რედაქციის ფუძემდებელია. შემდეგ შეუერთდნენ; ნიკო იმნაიშვული, კარლო ინასარიძე, ვანიკო ინწკირიშვილი,შალვა კალანდაძე და ა.შ.

ეს სწორედ ის რედაქცია იყო, რომელთაც ხმა აიმაღლეს და ბევრი კეთილი საქმე გააკეთეს. საუბრობდნენ ისეთ თემებზე, რომელზეც საქართველოში ფიქრიც კი აკრძალული იყო. ქართულ სულზე, ქართულ ღირსებებზე, ტრადიციებზე და ქართველ გმირებზე. რადიო „თავისუფლებამ“ ძალიან ბევრი გააკეთა ჯერ მხოლოდ იმიტომ, რომ ყოველი მისი თანამშრომელი თავგამოდებით იცავდა საქართველოს სუვერენიტეტს, არა მხოლოდ ფიზიკური ძალებით, არამედ სიტყვით და რაც მთავარია გონიერებით, განათლებით.

1984 წლის ნოემბერში ილია კუჭუხიძე პენსიაზე გავიდა. ზუსტად ამ დროს შეცვალა კარლო ინასარიძე ჯანრი კაშიამ და მთავარი რედაქტორი გახდა. ამის მიუხედავად ილია კუჭუხიძე მაინც აკეთებდა გადაცემებს ილია ჭავჭავაძის, არჩილ ჯორჯაძის და სხვათა შესახებ, რაც ბატ. ჯანრი კაშიას ინიციატივა იყო.

ერთხელ ბატ. ილიას საავადმყოფოში ათი თვის განმავლობაში მოუწია ყოფნა. ილია იხსენებს: „ერთხელ ჩემს ოთახში შემოვიდა რედაქციის თანამშრომელი ნოდარ გუგულაშვილი, ხელში რაღაც ეჭირა გამოხვეული. ეს იყო მისი მეუღლის მომზადებული ლობიო და ხაჭაპური. არასოდეს არ დამავიწყდება თუ როგორ დავეწაფე ლობიოს და ხაჭაპურს. მთავარი ექიმი შემოვიდა და ვთხოვე გაესინჯა–ასეთი გემრიელი რამ ჯერ არ მიჭამიაო,–ეს არის, ბატონო ექიმო,ქართული საჭმელი მეთქი.

საქართველოში ილიას მეუღლე ნატო სოლოღაშვილი დარჩა. მისგან შეეძინა ორი ბავშვი–ნოდარი და მზია. ბატ. ილიამ ომის შემდეგ არაფერი იცოდა მათ შესახებ. ოჯახთან დაკავშირებაში დიდი წვლილი შეიტანა რეზო თაბუკაშვილმა.

ილია კუჭუხიძე 1992 წელს 91 წლისა მიუნხენში გარდაიცვალა.

იმის მიუხედავად, რომ ბატონი ილია საქართველოდან მოშორებით, მიუნხენში ცხოვრობდა, ყოველთვის იცოდა თუ რა მდგომარეობა იყო თავის სამშობლოში და ყოველთვის ანაღვლებდა საქართველოში მიმდინარე მოვლენები. თავგადაკლული ქომაგი იყო ქართული კულტურის, ტრადიციებისა და სარწმუნოების, რისი შენარჩუნებაც საკმაოდ ძნელი იქნებოდა. იდეაფიქსად ჰქონდა ქცეული სიტყვები: „საქართველო უპირველეს ყოვლისა“ და ყველგან და ყოველთვის ცდილობდა მისი ქმედებები რამით მაინც გამოსდგომოდა ქართულ საზოგადოებას. არ შემიძლია არ შემოგთავაზოთ ილიას მიწერილი წერილი გურამ შარაძისადმი, სადაც ნათლად ჩანს მისი დამოკიდებულება ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე: „მართლაც რომ ბედნიერი ბრძანდებით ბატონო გურამ, რომ არ გიხდებათ ცხოვრება და მოღვაწეობა „კაენის აღზევების“ ხანაში. ეხლა მადლობა ღმერთს, ნისლი გადაიწმინდა მთელს საბჭოეთში და კერძოდ საქართველოში.ჰქრის ახალი სიო... ცა გაცისკროვნდა და ღმერთმა ნუ ჰქნას მისი დათალხვა... ხალხმა შვებით ამოისუნთქა. ბედნიერი ბრძანდებით, რომ დღეს თავისუფლად შეგიძლიათ იაზროვნოთ, არავითარი მბრძანებელი არ განსაზღვრავს თქვენს აზროვნებას.“

ერთხელ ბატ. რაჟდენ არსენიძემ ილიას მისწერა: „როცა კუჭუხიძეს ვექილიკებოდი, მე არ მავიწყდებოდა მინდია ლაშაურის ლიტერატურული დამსახურება; მისი ღირსება და დამსახურება საპატიო ადგილს დაიჭერს ქართულ მწერლობაში.“

და მართლაც განა ბუნებრივი არ იქნება ასე, რომ მოხდეს? მით უმეტეს რომ როგორც ღირსეული ქართველი ილია კუჭუხიძე ამის ღირსი ნამდვილად არის.

ეს მასალა მოვიპოვეთ ქ–ნ ლალი და ბატ. გოჩა კუჭუხიძეების ბიბლიოთეკიდან, რომელიც ინახავს ილია კუჭუხიძის ხელნაწერებს, პირად წერილებს, საგაზეთო სტატიებს და სხვა საარქივო მასალას.სამწუხაროდ, მის კიდევ ორ შვილიშვილს, გელა და მამუკა ენუქიძეებს, ვერ შევხვდით.გერმანიიდან ბატ. ილიას არქივების ჩამოტანაზე ღვაწლი გასწიეს გურამ შარაძემ და ვახტანგ გურგენიძემ. ეს მასალები ინახება ქართული ემიგრაციის მუზეუმში და საქართველოს არქივში.

მასალა მოგვაწოდა
ლევან ღვინჯილიამ.

ხობის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია მიმდინარეობს

პატარა ფოთი

ხობის მუნიციპალიტეტის პატარა ფოთის ადმინისტრაციულ ერთეულში საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია დასრულდა. პროექტი, რომლის სახელშეკრულებო ღირებულებაც 15235.10 ლარს შეადგენს, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ განხორციელდა.

საბავშვო ბაღში მოწესრიგდა სველი წერტილები, სამზარეულო და პროდუქტის შესანახი ოთახი.

ზემო ქვალონი

ზემო ქვალონის ადმინისტრაციულ ერთეულში საბავშვო ბაღის სრული რეაბილიტაცია დასრულდა.

პროექტი „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ და ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით განხორციელდა

ბაღის რეაბილიტაციაზე 49521 ლარამდე დაიხარჯა.

სამუშაოზე დასაქმდა ადგილობრივი მოსახლეობა.

თორსა-დღვაბა

ხობის მუნიციპალიტეტის თორსა-დღვაბის ადმინისტრაციულ ერთეულში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია მიმდინარეობს. პროექტს, რომლის სახელშეკრულებო ღირებულებაც 24 571 ლარია, შპს „ლუკა 2005“ ახორციელებს.

დღეის მდგომარეობით ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების 70 პროცენტი შესრულებულია ახალი სასწავლო წლიდან საბავშვო ბაღის აღსაზრდელები სწავლას კეთილმოწყობილ ბაღში გაგრძელებენ.

ახალსოფელი

ხობის მუნიციპალიტეტის ახალსოფლის ადმინისტრაციულ ერთეულში საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია მიმდინარეობს.

პროექტის სახელშეკრულებო ღირებულება 15451 ლარს შეადგენს

სამუშაოზე დასაქმებულია ადგილობრივი მოსახლეობა

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ 2019 წელს, ხობის მუნიციპალიტეტის 21 ადმინისტრაციულ ერთეულში 784 ათასი ლარის ღირებულების 60 პროექტი განხორციელდება.

ხამისკური

ხობის მუნიციპალიტეტის ხამისკურის ადმინისტრაციულ ერთეულში საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია მიმდინარეობს. ინფრასტრუქტურული პროექტი, რომლის სახელშეკრულებო ღირებულებაც 15509 ლარს შეადგენს, ”სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ ხორციელდება.

სამშენებლო სამუშაოზე დასაქმებულია ადგილობრივი მოსახლეობა.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ 2019 წელს, ხობის მუნიციპალიტეტის 21 ადმინისტრაციულ ერთეულში, მოსახლეობის მიერ შერჩეული, 784 ათასი ლარის ღირებულების 60 პროექტი განხორციელდება.

საბავშვო ბაღებში მიმდინარე და დასრულებული სამუშაოები ხობის მუნიციპალიტეტის მერმა გოჩა ქაჯაიამ, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად დაათვალიერა.

ჰეპატიტები

ჰეპატიტების გავრცელების საწინააღმდეგოდ ჩვენს ქვეყანაში, მის ყველა მუნიციპალიტეტში სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში მიმდინარეობს ღონისიძიებები, რომლებიც უზრუნველყოფს B და C ჰეპატიტების ერთეულ შემთხვევებამდე შემცირებას და აღმოფხვრას. B ჰეპატიტის წინააღმდეგ აცრების ეროვნული კალენდრის შესაბამისად ტარდება B ჰეპატიტის ვაქცინით აცრები, ხოლო C ჰეპატიტის აღმოფხვრისთვის უკვე მეორე წელია სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სრულიად უფასოდ ტარდება მოსახლეობის სკრინინგი-ტესტირება და შემდგომ გამოვლენილი ავადმყოფობის მკურნალობა.

რა არის ჰეპატიტი?

–ჰეპატიტი ნიშნავს ღვიძლის ანთებას. მისი გამოწვევა შეუძლია სხვადასხვა ვირუსს, ბაქტერიას, ზოგიერთ მედიკამენტს, ტოქსინს, ალკოჰოლის ჭარბ მოხმარებას და სხვას, თუმცა ჰეპატიტის ერთ-ერთ ყველაზე ხშირ მიზეზს A,ბB და C ჰეპატიტის ვირუსები წარმოადგენს.

როგორ გადაეცემა B და C ჰეპატიტის ვირუსები?

–B და C ჰეპატიტის ვირუსები ადამიანის ორგანიზმში ხვდება ამ ვირუსებით ინფიცირებული სისხლის და ორგანიზმის სხვა ბიოლოგიური სითხეების მეშვეობით. ის შეიძლება მოხდეს დაბინძურებული სხვადასხვა სამედიცინო ინსტრუმენტების გამოყენებით ან ვირუსებით ინფიცირებული დედიდან ბავშვზე და სქესობრივი გზით. სქესობრივი გზით B ჰეპატიტის ვირუსის გადაცემის რისკი ბევრად აღემატება C ჰეპატიტის ვირუსის რისკს. ამ ინფექციათა გადაცემა შეიძლება მოხდეს ასევე საერთო საპარსის, ფრჩხილის, მაკრატლის ან კბილის ჯაგრისი. გამოყენებითაც.

რა განსხვავებაა A, B და C ჰეპატიტის ვირუსებს შორის?

–A,B და C ჰეპატიტი წარმოადგენს სამ სხვადასხვა დაავადებებს. რომელსაც 3 სხადასხვა ვირუსი იწვევს, მიუხედავად იმისა, რომ მათ შეიძლება მსგავსი სიმპტომები ახასიათებდეს, მათი გამომწვევი ვირუსები სხვადასხვაგვარად გადაეცემა და ამ დაავადებათა მიმდინარეობაც ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება.

A–ჰეპატიტი მხოლოდ მწვავედ მიმდინარეობს და არ იწვევს ქრონიკულ ინფექციას, ანუ ვირუსის ორგანიზმში მუდმივად დარჩენას და პრაქტიკულად ყველა შემთხვევაში ყოველგვარი მკურნალობის გარეშეც განკურნებით მთავრდება. B და C ვირუსებს კი შეუძლიათ გამოიწვიონ ქრონიკული ინფექცია ანუ ვირუსის ორგანიზმიდან გამოდევნება არ ხდება, რამაც შესაძლოა შედეგად მოგვცეს ღვიძლის ქრონიკული დაავადება, ეს მოვლენა უფრო C ჰეპატიტის დროს ხდება.

რა სიმპტომები აქვს B და C ჰეპატიტებს?

–B და C ჰეპატიტის შემთხვევათა უდიდესი ნაწილი სრულიად უსიმპტომოდ მიმდინარეობს და ინფიცირებული ადამიანებისთვის შეუმჩნეველი რჩება, ძალიან ხშირად ამ ვირუსების გაოვლენა ხდება შემთხვევით, როდესაც ადამიანები იტარებენ სისხლის ლაბორატორიულ გამოკვლევებს. ზოგჯერ B და C ჰეპატიტს ახასიათებს საერთო სისუსტე, სიმძიმის შეგრძნება მარჯვენა ფერდქვეშა მიდამოში, სახსრების ტკივილი, გამონაყარი კანზე და სხვა.

დღეისდღეობით ქრონიკული C ჰეპატიტის მკურნალობა მიმდინარეობს თანამედროვე და აპრობილებული ანტივირუსული პრეპარატით. დღეს მიმდინარე C კვლევის პილოტური პროგრამის ფარგლებში გამოვლენილი თითოეული ავადმყოფს მკურნალობა სახელმწიფო პროგრამმის ფარგლებში უტარდება სრულიად უფასოდ.

როგორ ავიცილოთ თავიდან B და C ჰეპატიტი?

–სამწუხაროდ C ჰეპატის ვაქცინა ჯერ არ არსებობს და ამ ვირუსისგან თავდაცვის ძირითად საშუალებად რჩება ერთჯერადი ან სათანადოდ გასტერილებლი ინსტრუმენტების გამოყენაბს, ცხოვრების ჯანსაღი წესების დაცვა, რაც შეეხება B ჰეპატს, არსებობს B ჰეპატის საწინააღმდეგო უსაფრთხო და ეფექტური ვაქცინა, რომელიც სამჯერად კეთდება.

ქრონიკული B და C ჰეპატი დაავადებებია, რომელთა დროსაც შეიძლება მოხდეს ღვიძლის სერიოზული დაზიანება ეს ვირუსები ღვიძლის ცეროზის და კიბოს წამყვან მიზეზებს წარმოადგენს.

დიდი მნიშვნელობა აქვს დაავადების ადრეულ გამოვლენას, დროულ მკურნალობას. ჩვენი მუნიციპალიტეტის სამედიცინო დაწესებულებებში 2018 წელს დაიწყო C ჰეპატიტზე მოსახლეობის სკრინინგული კვლევები, რომელიც გრძელდება წელსაც, გამოვლენილი პაციენტების მკურნალობა სრულიად უფასოა სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, ამიტომ მივმართავთ თხოვნით ჩვენს მოსახლეობას, ისარგებლონ ამ სერვისით და სკრინინგული კვლევისთვის მიმართონ თავიანთი საცხოვრებელი ადგილების მიხედვით სამედიცინო დაწესებულებებს.

ჯუმბერ ტურავა,
ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორის მოადგილე, ექიმი პროფილაქტიკოსი.

ქრონიკული დაავადებების სამკურნალო 35 მედიკამენტი, რომლებსაც პაციენტები 1 ლარად შეიძენენ

ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობა და ხელმისაწვდომი ფასები წამლებზე–ამ საკითხზე პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ თბილისის საკრებულოში გამართულ ღონისძიებაზე ისაუბრა. მისივე თქმით, ქრონიკული დაავადებების სამკურნალო 35 დასახელების მედიკამენტს პაციენტები 1 ლარად შეიძენენ ქვეყნის მასშტაბით 118 აფთიაქში.

ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამა ვრცელდება შემდეგ დაავადებებზე:

- გულ-სისხლძარღვთა ქრონიკული დაავადებები;
- ფილტვის ქრონიკული დაავადებები;
- დიაბეტი (ტიპი II);
- ფარისებრი ჯირკვლის დაავადებებები
- ეპილეფსია;
- პარკინსონის დაავადება

სწორედ აღნიშნული დაავადებების მქონე პაციენტები მიიღებენ 35 დასახელების წამალს 1 ლარად.

ამ წამლებს შორისაა:

ენალაპრილი, ლოსარტანი, მეტოპროლოლი, ამიოდარონი, ნებივოლოლი, ატორვასტატინი, კლოპიდოგრელი, იზოსორბიდის მონონიტრატი, ფუროსემიდი, გლიმეპირიდი, თიამაზოლი, ბუდესონიდი, მეთილპრედნიზოლონი, ლევეტირაცეტამი, კარბამაზეპინი, ნატრიუმის ვალპროატი, ლამოტრიჯინი და სხვები.

„ჩვენი პენსიონერები და სხვადასხვა ჯგუფები შეძლებენ სიმბოლურად ერთ ლარად შეისყიდონ მათთვის აუცილებელი მედიკამენტები.

პროგრამა მოიცავს ყველაზე უფრო გავრცელებულ დაავადებებს, როგორებიცაა გულსისხლძარღვთა, ფარისებრი ჯირკვლის, ფილტვის, დიაბეტის, ეპილეფსიისა და პარკინსონის დაავდებები. ჩვენ უკვე ორი წელია რაც ავამოქმედეთ ქრონიკული დაავადებების ეს პროგრამა და დაახლოებით 60 ათასზე მეტმა მოქალაქემ ისარგებლა ამ პროგრამით, მაგრამ, ბუნებრივია, ეს არ იყო საკმარისი, აქედან გამომდინარე, მიღებულიქნა გადაწყვეტილება, რომ აღარ მოხდება დიფერენცირება და სოციალურად დაუცველ პირებთან ერთად, ჩვენი პენსიონერები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ჩვენი მოქალაქეები და სხვა ჯგუფები შეძლებენ ისარგებლონ ამ მართლაც ძალიან მნიშვნელოვანი პროგრამით.

აქვე მსურს, ყველას შეგპირდეთ, რომ აღნიშნული პროგრამა გაგრძელდება და ეს სიაც გაფართოვდება. ეს არის პრიორიტეტული დავალება, რომელიც არის მიცემული ჯანდაცვის სამინისტროს მისამართით.

უკვე დღეიდან, საქართველოს მთელი მასშტაბითაა ამოქმედებული აღნიშნული პროგრამა და ჩვენს მოქალაქეებს შეუძლიათ ქვეყნის მასშტაბით 118 აფთიაქში შეიძინონ აღნიშნული პრეპერატები. ეს არის მნიშვნელოვანი ნაბიჯი იმისთვის, რომ ჩვენ დავიწყოთ სისტემური მოგვარება იმ პრობლემების, რომლებიც არის ჩვენს საზოგადოებაში, ჩვენს ეკონომიკაში. მე პირადად ამ პრობლემას განვიხილავ სიღარიბესთან ბრძოლის ერთ-ერთ ნაბიჯადაც, ვინაიდან ბოლო კვლევების თანახმად, ჩვენი მოქალაქეების შემოსავლის დიდი ნაწილი მიდის მედიკამენტებისა და წამლების შეძენაში. ეს ასე არ გაგრძელდება, ჩვენ ამ პროგრამით და იმ ნაბიჯებით, რომლებიც გადაიდგმება, თამამად შევძლებთ განვაცხადოთ, რომ ჩვენი პენსიონერებისთვის და სხვა მოქალაქეებისთვის მედიკამენტების შეძენის ხარჯი ფაქტობრივად იქნება მინიმალური“–განაცხადა ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა **მამუკა ბახტაძემ**.

ხობის მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო, გაზეთ „ხობის მოამბეს“ თანამშრომლები მწუხარებაში თანაუგრძნობენ ხობის საპატიო მოქალაქეს, დამსახურებულ პედაგოგს, ბატონ ალექსანდრე (საშა) არჩაიას ოჯახს დის

მარგარიტა არჩაიას

გარდაცვალების გამო.

„გაუზიარე სიცოცხლე, გაიღე სისხლი“

ხობის კულტურის სახლის ფოიეში სისხლის უანგარო დონორთა აქცია - „გაუზიარე სიცოცხლე, გაიღე სისხლი“ მიმდინარეობს. აქციაში ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად, ხობის მუნიციპალიტეტის მერმა, გოჩა ქაჯაიამ მიიღო მონაწილეობა.

„სისხლის გადასხმის საქალაქო სადგური“ დონორული სისხლისგან დამზადებული სისხლის კომპონენტებით ამარაგებს, როგორც ბავშვთა, ისე მრავალპროფილურ კლინიკებს.

აქციის ორგანიზატორები „სისხლის გადასხმის საქალაქო სადგური“ და ხობის მუნიციპალიტეტის მერია არიან.

მე ვარ დონორი

მეგრული დაფნის ზეთი ევროპული ბაზრისთვის

წარმატების ისტორია ხამისკურიდან

რუბრიკაში „მე ეს გამომივიდა: წარმატების ისტორია საქართველოში“ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ხამისკურის მკვიდრს მამუკა ბუკიას წარმოგიდგენთ.

სახელი–მამუკა ბუკია

ასაკი –50 წლის

განათლება–ინჟინერი

პროფესია–მეწარმე

საცხოვრებელი ადგილი–ხობის მუნიციპალიტეტი, სოფელი ხამისკური

დასაწყისი: რაც ქვეყანაში სამუშაო ადგილები გაჭირდა და დასაქმება დიდი პრობლემა გახდა, გადავწყვიტე მცირე ბიზნესი დამეწყო. მოგეხსენებათ, სამეგრელოში ოდითგანვე დაფნის კულტურას დიდი ყურადღება ეთმობოდა. პირველი ნაბიჯები ჩემ საკარმიდამო ტერიტორიაზე არსებული დაფნის ჩაბარებით დავიწყე. როცა შემოსავალი საკმაოდ სოლიდური იყო, შემდეგ გამიჩნდა იდეა–გამეხსნა ჩემი საწარმო. დაახლოებით ათი წელია, რაც აღნიშნულ საქმიანობას ვეწევი. ჩვენთან სოფელში დაფნა ყველას აქვს. შორსაც არ უწევთ წაღება, ჩემთან მოაქვთ და აბარებენ, თან საწარმოში ადგილობრივები არიან დასაქმებული. ფასიც მაღალია, დაახლოებით 4-დან 5 ლარამდე მერყეობს. თან, თუ ადრე ჭრიდნენ, შემდეგ მის გახმობას ელოდებოდნენ და შემდეგ აბარებდნენ, ახლა, მოგეხსენებათ, ტექნოლოგიები განვითარდა, შესაბამისად, მე საშრობი აპარატი შევიძინე, რაც მოსახლეობას შრომას უადვილებს. რეალიზებას მარტივად ვახდენ, მოთხოვნა დიდია, პროდუქცია კი ხარისხიანი.

ცნობილია, რომ დაფნის ფოთოლი სამკურნალოდ უძველესი დროიდან გამოიყენება. ის ეფექტური სამკურნალო მცენარეა მაღალი არტერიული წნევის დროს, ხსნის სპაზმებს, ამშვიდებს ნერვულ სისტემას, შველის გაციებისას, აუმჯობესებს საჭმლის მონელების პროცესს, კანის მდგომარეობას, გამოდევნის სახსრებიდან მარილებს.

დაფნა ამცირებს ორგანიზმში შაქრის დონეს, აქვეითებს მადას და ხსნის ტკივილს სახსრებში, ასევე ხსნის ტკივილს დაჟეჟილობის, ნაღრძობის, დამბლისა და დაჭიმულობისას; კარგი საშუალებაა ჭრილობის სწრაფად შეხორცებისთვის.

რაც შეეხება ზეთის გამოხდას და წარმოებას, მინდოდა დაფნის წარმოება უდანაკარგო ყოფილიყო და ყველაფერი გამომეყენებინა. წინაპრებისგან გაგონილი მქონდა, რომ დაფნის ზეთს უნიკალური სამკურნალო თვისებები ჰქონდა. იგი უძველესი დროიდან გამოიყენებოდა ტეტანუსის, ციებცხელების, სახის კუნთების ნერვული ტიკების სამკურნალოდ. დაფნის ზეთი შედის რევმატიული ტკივილების, სპაზმების, ნევრალგიების, კანის ანთებითი პროცესების, დერმატიტის, ეგზემის, მუნის, კანის (მათ შორის თავის თმიანი ნაწილის), სხვადასხვა დაზიანების– ჭრილობის, ნაიარევის, დამწვრობის და ინფეციური დაავადებების სამკურნალო მალამოების შემადგენლობაში. აღნიშნული პროდუქტი აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას სხვადასხვა ქსოვილებში, იხმარება კანისა და თმის მოვლის დროს და ასევე ხელს უწყობს ღვიძლის, თირკმელებისა და ნაღვლის ბუშტის ნორმალურ ფუნქციონირებას. ეს იდეა ამეკვიატა და დაახლოებით ერთი თვეა ზეთის გამოსახდელი დანადგარი შევიძინე. პროცედურებში კარგად გავერკვიე და, შეიძლება ითქვას, ამ სფეროში „ხარისხი დავიცავი“. როცა ზეთი გამოვხადე, შემოწმებაზე გავგზავნე და პასუხს სულმოუთქმელად ველოდი. აღმოჩნდა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ხამისკურში ჩემი ხელით გამოხდილმა დაფნის ზეთმა ყველა სტანდარტი დააკმაყოფილა, რამაც დიდი სტიმული მომცა.

შედეგი: წლის განმავლობაში 200-დან 250 ტონამდე დაფნის დაფასოებას და რეალიზებას ვახდენთ. ახლა მოთხოვნა მაღალია, ადრე დაფნის ფასი 30 თეთრი იყო. რადგან ფასი მაღალია, მოსახლეობა დაინტერესებულია და გაშენება დაიწყეს. ძირითადად მაღალი ხარისხის დაფნის რეალიზებას ვახდენთ, ხოლო ცოტა შელახული დაფნისგან ზეთს ვამზადებთ. აი ნარჩენისგან კი ვგეგმავ საქონლის საკვები გავაკეთო. ზოგადად დაფნა ისეთი პროდუქტია, მისგან ყველაფრის გაკეთება შეიძლება. ახლა შეკვეთები გვაქვს ყაზახეთიდან და პოლონეთიდან. ხამისკურში ჩამოსხმულ დაფნის ზეთს კი პირველად გასაყიდად ევროპაში ივლისის ბოლოს გავგზავნი.

რჩევა დამწყებთათვის: არავინ არაფერი უნდა დაიზაროს და არც უნდა ითაკილოს. მიუხედავად იმისა, რომ საწარმოში რამდენიმე ადამიანია დასაქმებული, მეც მათთან ერთად დიდი შემართებით ვმუშაობ. თუ ადამიანმა შრომა ითაკილა და იფიქრა, უფროსი ვარ და არაფერი უნდა გავაკეთოო, შედეგი ცუდი იქნება. მე ჩემ მუშახელთან ერთად ვშრომობ და შედეგიც სახეზეა.

ნიკა ლატარია.

ხობის მუნიციპალიტეტის ბეჭდვითი ორგანო
გამომცემელი: ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ- საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრი.
სარედაქციო კოლეგია: მერი ლაგვილავა, ნანი კილასონია, როზეტა შულაია, ბორის ბერაია, ბეჟან ნადარაია, ირაკლი შონია, თამთა ბუკია. კომპიუტერული უზრუნველყოფა–ჯულიეტა ლატარია.
გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივ ცენტრში.
ტელ: 0 (414) 22-21-31; 22-25-81; 599-50-40-57; 577 21-41-44.
ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru.
დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში“. თბილისი, რკინიგზის ჩიხი№20.
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
გაზეთში დაბეჭდილი მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.